მსტოვრებს მოეტანათ ამბავი: მცხეთას ახალი იერემიას მოწაფენი გამოღვიძებულან და სვეტიცხოვლის ტაძართან იყრიანო თავს.“

პოლიტიკოსი და მწერალი გიორგი ჭანტურიას მკვლელობიდან – 25 წელი გავიდა. მისი ნაწერების პირველი პუბლიკაციიდან – 30 წელი! საკმაოდ დიდი დროა. პოლიტიკურმა ქარტეხილებმა გადაიარა, მოვლენებს სახელებიც დაერქვა, თუმცა გიორგი ჭანტურიას შემოქმედება ჯერაც ელის ქართული კრიტიკის შეფასებას.

Ketevan Elashvili
Georgia, Tbilisi
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Publicistic Discourse in the „Intellectual Mist“

Jemal Karchkhadze found the most exact name for the profanation of national soul – „Intellectual Mist“. The intensity of this „mist“ was heterogeneous during seventy years, though, unfortunately, it reached the Georgian literature of 80-90 years, where impressive squad of yesterday's „lead social realists“ with false pathos urgently fit in the robe of „caring about nation“.

That is why the publicistic works of Jemal Karchkhadze reminds Georgian society the supremacy of freedom and tries to scatter the mist of „false pathos“ spoken out loud in the name of freedom. The chrestomathic illustration of this is – „Monologue from Dialogue“ (1988).

Key Words: Jemal Karchkhadze, Publicistic Discourse, “Monologue”.

ქეთევან ელაშვილი
საქართველო, თბილისი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პუბლიცისტური დისკურსი „ინტელექტუალურ ბურუსში“

„წარსული ჩვენი ფესვებია...
არაფერი არ არსებობს ისე რეალურად,
როგორც წარსული...“.
ჯემალ ქარჩხაძე, „ქარავანი“

ყველა ეპოქა, რაღაც ნიშნით, სტერეოტიპულ წრეზე ბრუნავს. კერძოდ, ახალი საუკუნის დაბადება მაღალი „პოლიტიკური ტემპერატურით“, მკვეთრად აჩქარებული დროის ფენომენითა და ფეთქებადი საზოგადოებით გამოირჩევა. დროჟამული ათვლის სისტემაში ეს ყოველი ამგვარად აისახება; საწყისი ეტაპიდან მეტ-ნაკლებად 50-იან წლებამდე – ზემოაღწერილი ბობოქარი სულისკვეთება სუფევს. 50-80-იან (ზოგჯერ შეიძლება 90-იან წლებამდეც კი გაიწელოს) – დრო თითქოს ჩერდება და გაყინულ სიმშვიდეში, არაფრისმთქმელ „უძრაობაში“ იძიება მთელი სამყარო. აი, შემდეგ კი – იწყება სიფხიზლის პერიოდი, იქმნება ზედმეტად აალებადი, იმპულსური საზოგადოება – ხმამაღალი, ეპატაჟური პოლიტიკური ლოზუნგებით შეიარაღებული.

ჩვენ ეს გზა უახლეს წარსულში გავიარეთ – ისეთი მძაფრი ემოციითა და დიდი ტკივილით, რომ დღემდე გვიჭირს ეს წლები ოდენ „ისტორიას“ მივაბაროთ. ამიტომაც, დღესაც ვიხარშებით ამ განცდებში, ვერ ვახერხებთ ისტორიული შეცდომების მხოლოდ მშრალი გონებით გადაფასებას და, რაც მთავარია, – გვიძნელდება XXI საუკუნის „ენაზე“ ლაღად მეტყველება.

ეგებ ამაში, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკაში გამოკვეთილი, – პოლიტიკური დისკურსის „გონების თვალით“ გაცნობიერება დაგვეხმაროს. ეს ტენდენციები ყველაზე მძაფრად ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში* იკვეთება – ქრეს-

* ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2018, 2;
აქ ორი ნაშრომი სწორედ ჯ. ქარჭხაძის პუბლიცისტურ ნარატივს ეხება: მ. ბერიაშვილი, „ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით“, 2018: 24-43; ა. ნიკოლეიშვილი, „ჯემალ ქარჩხაძე როგორც პუბლიცისტი“, 2018: 44-53.

ტომათიული ილუსტრაცია კი „მონოლოგი დიალოგიდანაა“, რომელიც საეტაპო ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში. ეს „მონოლოგი“ ზნეობრივი დისკურსისა თუ კეთილშობილი უშუალობის მაღალმხატვრული ნარატივით გამოირჩევა. აქვე, სავსებით ბუნებრივია, ჯემალ ქარჩხაძისვე სიტყვები გავიხსენოთ – „ყოველი მწერალი, მიუხდავად იმისა, მიმართავს თუ არა როდესმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიცაა“ (ქარჩხაძე 2005: 9), რაც ყველაზე მეტად იკვეთება იმ დროს, „როცა ერის ცხოვრებაში კრიტიკული სიტუაცია დგება, მაშინ არავისა აქვს უფლება ცხრაკლიტულში იჯდეს და ყურები ბამბით ჰქონდეს გამოტენილი“ (ქარჩხაძე 2005: 13).

ცხადია, მწერლის შემოქმედებითმა ინტუიციამ წინარედ – 1988 წელსვე იგრძნო იმ პოლიტიკური კატაკლიზმების საბედისწერო ბიძგები, რომლებმაც ქართულ საზოგადოებას მოჩვენებითი კეთილდღეობის საყრდენი გამოაცალა და იმ „სიყალბის პერანგისგან“* განძარცვა, აგრე რიგად რომ ჰქონდა მორგებული.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მოხდა ისე, – რომ 1988 წლის ყურნალ „მნათობში“ (№8) გამოქვეყნებული ჯემალ ქარჩხაძის დიალოგი, კრიტიკოს აკაკი მინდიაშვილთან, რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩა „ეროვნულ ტალღაზე გადაწყობილ საზოგადოებას“. ამიტომაც, გაუცნობიერებელი სატკივარით საკმაოდ ხანგრძლივად აღმოჩნდა ქართული ერი ილუზიათა ლაბირინთში გამომწყვდეული. და შესაბამისად, საკუთარი ძალისხმევას ვერშემცნობ ერად ჩამოყალიბდა. ერთადერთი გამოსავალი კი, მაშინაც და დღესაც, უსიყვარულოდ** ცხოვრებაშია საძიებელი,

* „ჩვენ სხვა ჭირი გვჭირს: სიყალბით პერანგი, რომელიც ეპოქამ ჩაგვაცვა, ჩვენ სხვაზე უკეთ მოვირგეთ (იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი არტისტიზმისათვის იგი მახლობელი გამოდგა). წყალი აიმღვრა, ორიენტირები გადაადგილდა. საზოგადოებრივი და სოციალური კრიტერიუმები დაიკარგა და ზნეობას საყრდენი გამოეცალა. მთავარი ხიფათი და ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ცდუნებას ვერც მწერლობამ გაუძლო...“ (ქარჩხაძე 2005: 10).

** „დღეს დედამიწაზე უამრავი გაუგებარი, უაზრო, აბურდული მკვლელობა ხდება, რომლებიც ცოცხლად დარჩენილთათვის მხოლოდ შიშველი სტატისტიკაა, გულსა და გონებაში კი კვალს თითქმის არ ტოვებს. ეს არის სიყვარულის კრიზისი. ადამიანს სიყვარულის მარაგი შემოაკლდა“... (ქარჩხაძე 2005: 46). და კიდევ – „სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა, სხვისადმი, ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი“ (ილია II-ის საადგომო ეპისტოლე, 2019 წელი).

რომელთანაც კვლვ დაბრუნება მწერლის სიტყვას შეუძლია მარ-ტოოდენ. რადგან ქართული მწერლობა ერის ცხოველმყოფელი ძალაა და ხსნის გზაც მასშია კოდირებული. არადა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართული მწერლობა ქარისზმის-გან სრულიად დაიცალა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მწერალი ჯემალ ქარჩხაძისათვის „ლიტერატურული სასწაული“ აღარ იკვეთებოდა. ყველაზე ტრაგიკული კი ის იყო, რომ ქართველმა კაცმა სიტყ-ვის* ზნის შეცნობის უნარიც დაკარგა და მხოლოდ ყალბი, ფუჭი, „თვითმიზნურად კაზმული სიტყვებით“ იწყო არსებობა. ასე უკეთესად მოერგო ტოტალიტარულ წნეხს – ამგვარ სიტყვებში სრულიად ჩაიფერფლა „თვინიერი სულის მოძრაობა“ და „მაღალი ინტელიგენტური სულიც“** დაიშრიტა ჩვენს საზოგადოებაში“.

ასეთ ვითარებაში, – ჯემალ ქარჩხაძემ სრულიად ზუსტი სა-ხელდება მოუძებნა ეროვნული სულის პროფანაციას – „ინტე-ლექტუალური ბურუსი“. ამ „ბურუსის“ ინტენსივობა არა-ერთ-გვაროვანი იყო მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში, თუმცა, სამწუხაროდ, ის გასული საუკუნის 80-90-იან წლების ქართულ მწერლობასაც გადმოწვდა, სადაც გუშინდელ „მოწინავე სოცრე-ალისტთა“ შთამბეჭდავმა რაზმმა ყალბი პათეტიკით სასწრაფოდ მოირგო ერის მოჭირნახულის მანტია.

---

* „...არსად სიტყვას ასეთი სიყვარულით არ ელოლიავებიან, ისეთი რუდუნებით არ ძერწავენ, ისე ხარბად არ აგროვებენ და ისე უანგაროდ არ ხარჯავენ, როგორც ჩვენში. ჩვენში ყოველი კაცი სიტყვის შემოქმედია... და ქართული ხასიათის ფესვებიც, ალბათ, უმთავრესად სიტიყვასთან ჩვენს დამოკიდებულებაშია საძიებელი“ (ქარჩხაძე 2005: 9). ამასთანავე – „ქართველი კაცის არსებაში სიტყვა ბუნებრივად იღებს ლექსის სახეს, ლექსი ჩვენ სისხლივით დაგვიდის ძარღვებში და, თუ ოდესმე კაცობრი-ობას მართლა დაერია ისეთი ეპიდემია, რომელიც პოეზიაზეა დაგეში-ლი, დარწმუნებული ვარ, საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანი იქნება, სადაც უკანასკნელი ლექსი შეითხზვება და სადაც ლექსი უკანასკნელად წარმოითქმება...“ (ქარჩხაძე 2005: 12).

** „...ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არა გვყავს. მე ინტელი-გენტში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელი-გენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლე-ბის მოწმობაა... ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დემოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავდაბალი არ იყოს...“ (ქარჩხაძე 2005: 35). „ინტელიგენტის“ არსის ფილოსოფიული არქეტიპები მ. ბერიაშვილის ზემოდასახელებულ წერილშია განხილული (ბერიაშვილი 2018: 36).

სწორედ ამ დროს, მწერალთა „რჩეულ კასტას“* განაპირებულმა, მხოლოდ საკუთარ სიტყვასა და შემოქმედებით ნებელობას მინდობილმა ჯემალ ქარჩხაძემ შეძლო პუბლიცისტური დისკურსის ფორმატში მასშტაბურად „წაეკითხა“ ქართველი ერის თანადროული ისტორია, რათა საზოგადოებრივ ცნობიერებაში შთაენერგა თავისი ფილოსოფიური „განსჯა-განკითხვა“ – დაშრეტილი ეროვნული ენერგიის კვლავ ასაღორძინებლად.

ეს „ზეამოცანაც“ და ილიასეული „ბედნიერი ერის“ კრიტიციზმიც, როგორც ჩანს იმან განაპირობა, რომ ამ უკონტროლო სიტუაციაში, სულიერი გზააბნეულობის ბურუსმა შთანთქა ხიფათისაგან ამაოების ტალღებს მინდობლი საზოგადოება: ამ დროს კი „მწერლობამ მღვრიე წყალში უნდა შექმნას ზნეობის კუნძული – თავშესაფარიც, თავშესაყარიც და დაპირისპირებაც“ (ქარჩხაძე 2005: 42). აქ, ცხადია, გასათვალისწინებელია ქართული მწერლობის როლი ჩვენი ერის ისტორიულ თუ კულტურულ „ბიოგრაფიაში“. მწერალი, თავისი პროვიდენციალური ნიჭითა და „გულისხმიერი გონით“, ხან ერის წინასწარმეტყველად და ქურუმად გვევლინებოდა, ხან ჭირისუფლად და მარტიროლოგად, რათა როგორმე „ეროვნულ პასუხისმგებლობასა და მაღალ ზნეობას“ ბოლომდე არ განაპირებოდა ქართველი ერი. ამის საპირწონე კი, ყველაზე მეტად თავად მწერლის ცხოვრება იყო – „ბედისმიერი იმპულსის“ მძაფრი შეგრძნებით. ამიტომაც იყო, რომ ჯემალ ქარჩხაძე საკუთარი შემოქმედების გაშინაარსებისას ერთ მეტად მნიშვნელოვან შტრიხსაც გამოკვეთს; ესაა ბარათაშვილთან** ერთგვარი თანამესულეობა – საკუთარ თავთან სულიერი კომფორტის შექმნა და იმავდროუად მარტოშთენილობის ამბივალენტური განცდა... და კიდევ, ის ზნეობრივი დისკურსი, რომელიც მისი მხატვრული ცნობიერების

---

* „ჯემალ ქარჩხაძე კი პრინციპულად არ იყო საბჭოთა მწერალი, თან გარიდებული იყო მთელ იმ უმსგავსობას, ზნეობრივად გამაჩანაგებელ იმ ორომტრიალს, რომელსაც ლიტერატურული ცხოვრება ერქვა და რომლის მესვეურნიც რანგებსა და წოდებებს აწესებდნენ, უფრო სწორედ, თვითონ იწესებდნენ“ (წერედიანი 2000: 8).

** „...ნათესაობას კი ყველაზე მეტად ბარათაშვილთან ვგრძნობ (თუ ასეთი განცხადება ვინმეს კადრიერებად მოეჩვენოს, შევახსენებ, რომ ნათესაობა შედარებას არ ნიშნავს და მხოლოდ ისეთ მსგავსებაზე მიუთითებს, რასაც არც „ნიჭთან აქვს რაიმე საერთო და არც სხვა რამ ღირსებასთან)“ (ქარჩხაძე 2005: 14).

უმთავრესი განსჯის ფენომენია.* თავად ჯემალ ქარჩხაძე, როგორც პიროვნება „იყო იმის ზნეობრივი მაგალითი – როგორ უნდა ეცხოვრა დიდ მწერალს საკუთარ „სინდისთან გარიგებულ“ ადამიანთა მიერ შექმნილ კონფორმისტულ გარემოში“ (ჯამბურია 2018: 23). აქვე უთუოდ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მწერლის „შემოქმედებითი მონოლოგი“ – საკუთარი ცხოვრების ხელახალი „გადაკითხვაა“, ოღონდ მკვეთრი ეროვნული აქცენტებით. თავად ჯემალ ქარჩხაძე თვლიდა, რომ „ეროვნულ ხასიათსა და ეროვნულ სულს მეტნაკლებად „ზებულონით“ მიუახლოვდა“ (ქარჩხაძე 2005: 19). რომანი „ზებულონი“ („მონოლოგი დიალოგიდან“ არ იყოს) 1988 წელს გამოვიდა, სადაც ისტორიული რაკურსით თანამედროვე საბედისწერო რყევებისა და ეროვნული სულის მინავლების თითქოსდა „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოგლეჯილ ფურცლებს ვაწყდებით. ეგებ იმიტომ რომ – ჯემალ ქარჩხაძე, როგორც მწერალი გარკვეულ საშიშროებას წინმსწრებად ჭვრეტა; „ერი თვალდათვალ იცვლის სახეს. ცოტაც და იმ საქართველოდან, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში აღბეჭდილი და რომელიც გვიყვარს, სულ სხვა საქართველოს მივიღებთ... თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ჩვენი გულარხეინობა და ღვთისმოიმედობა, ხვალ ჩვენს ადგილას სხვა საქართველო იქნება...“ (ქარჩხაძე 2005: 37). და რაც მთავარია, ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ჩვენს ეროვნულ ნავს ძირი აქვს გახვრეტილი და წყალი შემოგვდის. კი ვცდილობთ ამოვხაპოთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა „პროფილაქტიკული ზომებია“ და საქმეს ვერ შველის“ (ქარჩხაძე 2005: 39).

სწორედ ამგვარივე ვითარების შედეგი იყო, რომ „ილია ჭავჭავაძემ, როდესაც ქვეყნის წინაშე თავისი ვალი გააცნობიერა, ეყო ძალა მწერლობაზე უარი ეთქვა...“ (ქარჩხაძე 2005: 40). მაგრამ ილიას საბედისწერო აღსასრულთან ერთად – საქართველოში „ერისკაცობაც“ და „მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც“ დავიწყებას მიეცა...

მხოლოდ XX ს-ის მიწურულს ჩვენმა „ზნეობრივმა სატკივარმა“, გაცილებით მასშტაბური სახით, კვლავ შეგვახსენა თავი და ქართულმა საზოგადოებამ ამგვარი გამოსავალი ჰპოვა, ილია ჭავ-

* „ყოველი მწერლის ყოველი ნაწარმოები, გარკვეული აზრით, ავტობიოგრაფიულია, რადგან შემოქმედება, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი შინაგანი სამყაროს იგავური გაცხადება“ (ქარჩხაძე 2005: 17).

ჭავაძის სახელს ამოეფარა, წმინდანად შერაცხა და ნეტარ სიმ-შვიდეს მისცა თავი... არადა, „ილია ჭავჭავაძის მიზანი ის კი არ იყო, წმინდანად შეგვერაცხა და „ილია მართალი“ გვეწოდებინა, არამედ ის, რომ ჩვენ გვეცხოვრა წმინდა ცხოვრებით და ჩვენ გვევლო სიმართლის გზით“ (ქარჩხაძე 2005: 44).

მაგრამ ჩვენ ხომ თავის მოტყუების, წარსულისა და აწმყოს (მომავალზე რომ აღარაფერი ვთქვათ...) მითოლოგიზირების დი-დოსტატნი ვართ; რადგან არ გვსურს „ნიღბები გადავყაროთ და საკუთარ თავს მწარე სიმართლე ვუთხრათ“ (ქარჩხაძე 2005: 44). თუმცა მოხდა ისე, რომ ხანგრძლივი დისტანცირების შემდეგ მა-ინც დადგა დრო გამოფხიზლების, დრო – რომ ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკით ჩვენმა საზოგადოებამ შეიცნოს თავისუფლების უზენაესობის არსი და თავისუფლების სახელით წარმოთქმული „ცრუპათეტიკის ბურუსი“, ერთხელ და სამუდამოდ, გაფანტოს.

დამოწმებანი:

ბერიაშვილი 2018: ბერიაშვილი მ. „ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, „*ადამიანი, საზოგადოება, სამყარო ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში“. ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით.* თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

ნიკოლეიშვილი 2018: ნიკოლეიშვილი ა. ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, *ჯემალ ქარჩხაძე როგორც პუბლიცისტი.* თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

ქარჩხაძე 2005: ქარჩხაძე ჯ. პუბლიცისტიკა. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2005.

წერედიანი 2000: წერედიანი დ. „*სათქმელი ბევრია*“. „არილი“, № 16 (161). საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, 9 ნოემბერი. 2000.

ჯამბურია 2018: ჯამბურია კ. ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, „*ჯემალ ქარჩხაძე კონფორმიზმის წინააღმდეგ*“. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.